

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ამირან ქანთარია****მოსახლეობასთან შეხვედრის და 2018 წლის ანგარიშის****წარდგენის ოქმი.**

**მუნიციპალიტეტის დასახელება:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

**სოფელი, თემი, დაბა:** ქალაქის ადმინისტრაციული ერთეული

**შეხვედრის ჩატარების თარიღი:** 23.07.2019 წელი 14:00 საათი

**შეხვედრას ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს წევრი დავით ჩხარტიშვილი, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს წევრი ამირან ქანთარია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

ანგარიშის წარდგენამდე საკრებულოს წევრი ამირან ქანთარია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ გამონახეს დრო მასთან შესახვედრად. ამის შემდეგ, მან აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება.

საკრებულოს წევრმა ამირან ქანთარიამ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად წარმოადგინა 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 20 ნოემბრამდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით გახდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ახორციელებდა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურისა და საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებში, ასევე არის ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს მდივანი.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 18, საკრებულოს კომისიების 5 და ფრაქციის 3 სხდომაში. როგორც საკრებულოს წევრი, აქტიურად მონაწილეობდა საკრებულოს მიერ კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების მიღება-დამტკიცებაში. მათ შორის გამოყო რამდენიმე მნიშვნელოვან აქტი. საანგარიშო პერიოდში განხილული და დამტკიცებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალური პროგრამები, მისი გაცემისა და მიღების წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებები და მისი დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, მოწონებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტები და ა.შ.

სხდომებზე მის მიერ დაყენებული იქნა სხვადასხვა პრობლემური საკითხები. ესენია: აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებების შესახებ, ქალაქის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებისა და ქალაქის ცენტრში გარე ვაჭრობის მოწესრიგების, ასევე, კოსტავას ქუჩაზე ნაძვის ხეების გადაბელვის და კლინიკა „ჯამრთელობის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტის საფარის მოწესრიგების საკითხები.

როგორც საკრებულოს წევრს, შეხვედრები ჰქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან). მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და ინფრასტრუქტურულ საკითხებს. სოციალური მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდა მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო

მასალით. ასევე, გადახურული იქნა დაზარალებულ მოსახლეთა საცხოვრებელი სახლები. კერძოდ:

- ✓ 2017 წლის 15-16 ოქტომბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 7 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 48 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის მარტის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 12 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 2 აპრილის სტიქიის შედეგად დაზარალებულ 5 მოსახლეს გაეწია სახლის სახურავის უზრუნველყოფა საჭირო სამშენებლო მასალით;
- ✓ 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიის შედეგად 9 დაზარალებულ მოსახლეს გადაუხურეს საცხოვრებელი სახლი.

ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ:

- ✓ გელა ღონღაძის ეზოსთან მდინარე ორაგვისღელეზე ყორე ქვის გაბიონის მოწყობა. (რომლის ღირებულებამ შეადგინა 29 963 ლარი);
- ✓ კვირკველიას ქუჩაზე მიმდებარედ საცხოვრებელი სახლის უკან მდებარე ღელის კალაპოტის გაწმენდითი სამუშაოები. (9 232 ლარი);
- ✓ ცაბაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა.(19 711 ლარი);
- ✓

ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა გზების აღდგენა/რეაბილიტაცია. კერძოდ:

- ✓ ებრალიძის ქუჩაზე რკ.ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა (33 619 ლარი);
- ✓ გოგიჩაიშვილის ქუჩაზე რკ. ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა რომელიც დასრულდება წელს აგვისტოს ბოლომდე, დაგეგმილი სამუშაოების 70% შესრულებულია,რომელიც ჯამში 45 971 ლარი დაჯდა.
- ✓ ცინცაძის ქუჩაზე რკ. ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობა (22 434 ლარი);
- ✓ მშვიდობის ქუჩა, ჩიჩუების აღმართზე სანიაღვრე არხების მოწყობა (30 211 ლარი);
- ✓ ყოფილი ჭადრაკის სახლის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობა (7 173 ლარი);
- ✓ მდინარე ლაშისღელეზე ურუშაძის ქუჩის მიმდებარედ ორ ადგილზე 30+20=50 გრძ/მ მდინარის ნაპირსამაგრის მოწყობა (16 665 ლარი);
- ✓ ყოფილი სასტუმროს და სპორტული კომპლექსის მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობა(71 000 ლარი);
- ✓ ქალაქის მაჩხვარეთთან დამაკავშირებელ გზაზე ყორე ქვის გაბიონის მოწყობა(15 704 ლარი);
- ✓ ლაშისღელეში ქუჩებზე სანიაღვრე არხების მოწყობა(314425 ლარი);
- ✓ ურუშაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა (87 337 ლარი) ;
- ✓ ყაზბეგის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;
- ✓ ბაგრატიონის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა(65 480 ლარი);
- ✓ ურუშაძის ქუჩაზე გიორგი შარაბიძის სახლთან გაბიონის მოწყობა;
- ✓ კერხანოჩიევის საცხოვრებელ სახლთან გაბიონის მოწყობა;
- ✓ მოიხრეშა ლიშისღელის სასაფლაოსთან მისასვლელი გზა;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის შესაბამისად ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მედიკამენტების

შემენაზე დახმარების პროგრამით ისარგებლა 82 ბენეფიციარმა, ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამით 7 ბენეფიციარმა, მრავალშვილიან ოჯახთა პროგრამით ისარგებლა 8 ბენეფიციარმა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფის პროგრამით (ქირავნობით)- 25 ბენეფიციარმა.

2019 წელს ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებია:

-გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ მიმდინარეობს ქალაქის ტექნიკური წყლით მომარაგება;

-მშვიდობის ქუჩის სანიაღვრე არხების მოწყობა;

-ურუშაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა;

-ბაგრატიონისა და ბარათაშვილის ქუჩის შესახვევებთან სანიაღვრე არხების მოწყობა;

-თავისუფლების ქუჩის პირველ შესახვევში სანიაღვრე არხის მოწყობა;

-წმ. ნინოს ქუჩაზე და წილოსნების უბანში სანიაღვრე არხების მოწყობა;

-ბაგრატიონის ქუჩაზე ლაშა დუდუჩავას სახლთან სანიაღვრე არხის მოწყობა;

-თავისუფლების ქუჩაზე იგეგმება ი.დუნდუას სახელობის ხელოვნურსაფარიანი მოედნის რეაბილიტაცია;

-თავისუფლების ქუჩაზე ასფალტის საფარის წერტილოვანი შეკეთება;

-იგეგმება მდინარე ლაშისდელის კალაპოტის გაწმენდა;

-ბარათაშვილის ქუჩის ბოლოში არხის მოწესრიგება;

საკრებულოს წევრის ამირან ქანთარას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით ბევრი რამ კეთდება, ზოგიერთი საკითხის მიმართ კრიტიკული შენიშვნები მაინც უნდა გამოითქვას, რადგან სამუშაოები, რა კუთხითაც არ უნდა განხორციელდეს, მთავარია შესრულდეს ხარისხიანად. მან ყურადღება გაამახვილა კოსტავას ქუჩაზე ასფალტის საფარის დაგებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სამუშაოები ჩატარდა უხარისხოდ, რის შედეგად ასფალტის საფარმა დაშლა დაიწყო და თავიდან გახდა დასაგები. ამის შესახებ საკრებულოს წევრმა თავის დროზე მიმართა მუნიციპალიტეტის ყოფილ გამგებელს, ზაზა ურუშაძეს, რადგან მისი აზრით შესრულებული სამუშაოების მიხედვით ადგილი ჰქონდა გარკვეულ კორუფციულ გარიგებას.

გარდა ამისა, საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ ყურადღება მისაქცევია ნაძვის ხეების გადაბეღვის საკითხი. პრობლემის შესახებ არაერთხელ მიმართეს მოსახლეობის ხელმოწერილი განცხადებით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, მაგრამ აქამდე არანაირი რეაგირება არ ყოფილა. ხშირია შემთხვევები, როცა ძლიერი ქარის დროს ხდება ნაძვის ხეების წაქცევა, რის შედეგადაც ზიანდება როგორც საცხოვრებელი სახლები, ასევე ელექტრო ხაზები და გაზგაყვანილობის მილები.

საკრებულოს წევრის თქმით, ქალაქში მწვავედ დგას კანალიზაციის საკითხი, რაც უდავოდ მოსაწესრიგებელია. მან ასევე ყურადღება გაამახვილა იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის ცენტრში არსებული საათი გაფუჭებულია და სწორ დროს არ უჩვენებს.

საკრებულოს წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, რომ კლინიკა „ჯანმრთელობის“ მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების საკითხი ძალიან პრობლემატურია. საკრებულოს წევრის თქმით, მიწის აღნიშნული ფართობის გარკვეული ნაწილი წინა ხელისუფლების დროს უკანონოდ გასხვისდა. დარჩენილი ტერიტორია, რომელიც არის მუნიციპალური საკუთრება, დანაგვიანებულია და ეკალ-ბარდითაა დაფარული. ამის შესახებ არაერთხელ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს, რომლის წარმომადგენლები ადგილზეც იყვნენ მოსულები, მაგრამ მათი თქმით, არ გააჩნიათ აღნიშნული ტერიტორიის დასუფთავების საშუალება. არადა, საკრებულოს წევრის განმარტებით, კლინიკაში, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოდიან ექიმები, ასევე არის შემთხვევები, როცა უცხოელი მოქალაქეებიც მიმართავენ მათ ამათუ იმ სამედიცინო მომსახურებისთვის. იქმნება ძალიან უხერხული სიტუაცია, რდგან ისინი უკმაყოფილებას არ მალავენ მოუვლელი და დანაგვიანებული ტერიტორიის შემხედვარე.

საკრებულოს წევრის განცხადებით, ქალაქში და ზოგადად, მუნიციპალიტეტში, მიუხედავად ამ კუთხით დახარჯული ფინანსებისა, მაინც მწვავედ დგას წყალგაყვანილობის საკითხი, რაც დროულად ყურადღება მისაქცევი და მოსაგვარებელია.

ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა, **ამირან ქანთარია** მოსახლეობას მიმართა თხოვნით, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია, როგორც ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული, ასევე პირადი პრობლემების შესახებ.

მოქალაქე **მაგული კვაჭაძე** დაეთანხმა საკრებულოს წევრს და აღნიშნა, რომ კლინიკა „ჯანმრთელობის“ მიმდებარე ტერიტორია სისუფთავის მხრივ მართლაც სავალალო მდგომარეობაშია და ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ის თავის მხრივ მიესალმება მუნიციპალიტეტის ხელისუფლების მიერ ქალაქის ცენტრის მოწესრიგებას და გალამაზებას, მაგრამ მისთვის გაუგებარი და მიუღებელია ის ფაქტი, რომ კლინიკა „ჯანმრთელობის“ ხელმძღვანელობის მიერ მუნიციპალიტეტის მესვეურებისადმი არაერთი თხოვნის მიუხედავად, არ ხდება ზემოთ ხსენებული ტერიტორიის მოწესრიგება და დასუფთავება. მან ასევე აღნიშნა, რომ იმ კორპუსზე, რომელშიც განთავსებულია კლინიკა „ჯანმრთელობა“, წინა ხელისუფლების მიერ ჩამოხსნილი იქნა თუნუქის ფურცლები, რის შედეგადაც დაზიანდა კორპუსის კედლები და საერთოდ, აღნიშნული შენობა არის ცუდ მდგომარეობაში. მისი მოთხოვნაა, მოწესრიგდეს და გაკეთდეს შენობის ფასადი, ერთ მხარეს მაინც, საიდანაც წვიმა უწევს ან დაუბრუნონ მისი კუთვნილი ფართიდან მოხსნილი თუნუქის ფურცლები, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული იქნება მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

მოქალაქის რომან ბიწაძის თქმით, საკრებულოს წევრ ამირან ქანთარიასთან ერთად წლების განმავლობაში მოღვაწეობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოში და იცნობს, როგორც ურთიერთობაში გამოცდილსა და ძლიერ პიროვნებას. მას არ ეშინია სიმწელების და ძალ-ღონეს არ იშურებს მათ გასამკლავებლად. გარდა ამისა, ის თავის მხრივ დაეთანხმა მაგული კვაჭაძეს და აღნიშნა, რომ თუნუქის ფურცლები ჩამოხსნეს აღნიშნული კორპუსის გარდა, სხვა შენობებზეც, რის შემდეგ ისინი გადალესეს და შედებეს ერთ ფერებში. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ წვიმის და ნესტის შედეგად ცვენა დაიწყო ბათქაშმა, რამაც სერიოზულად დააზიანა აღნიშნული კორპუსები.

მოქალაქემ ავთანდილ მეიშვილმა აღნიშნა, რომ მისი საცხოვრებელი სახლის წინ არის ასაკოვანი ცაცხვის ხე, რომლის ფესვებმა სერიოზულად დააზიანა შენობა. მისი მხრიდან

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისადმი არაერთი წერილობითი თხოვნის და მიმართვის მიუხედავად, დღემდე არანაირი რეაგირება არ ყოფილა. ხის მოჭრის უფლებას არ აძლევენ, რადგან ცაცხვის ხე შეტანილია საქართველოს წითელ წიგნში, არადა, სახლი ავარიულ მდგომარეობაშია და ფაქტიურად, დანგრევის პირასაა მისული.

საკრებულოს წევრმა ამირან ქანთარია კიდევ ერთხელ გადაუხადა მოქალაქეებს მობრძანებისთვის მადლობა და დაპირდა მათ, რომ გააგრძელებს აქტიურ მუშაობას როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ასევე ამომრჩევლებთან და ყველა ღონეს იხმარს, რათა მისი სადეპუტატო უფლებამოსილების პერიოდში შესაძლებლობიდან გამომდინარე გადაწყდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც აწუხებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

ამირან ქანთარია

საკრებულოს წევრი  
საკრებულოს წევრები